



ახალი ტანათლები

№4 (438) გამოდის 1998 წლიდან

ერთიანი ეროვნული გამოსცდები 2009



უმაღლესი აკადემიური პრობრაები (ბაკალავრიატი)

გვერდი 4-14

ყველაზე დიდი
მასშტაბიანი
ცხოვრება
გვერდი 14

საგანმანათლებლო
სისტემა - ქალთა
აგან, სლანს
გამაქსებენ
არ შედიან
გვერდი 15

უხველკა
მსოფლიო
მოგზაურთან
გვერდი 15

შედეგ ნორმები შემოგთავაზებთ უმაღლეს პროფესიულ პრობრაებს

რამდენი გამოცდის ჩაბარებაა აუცილებელი აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში აკადემიურ პროგრამებზე სწავლის გასაგრძელებლად?

უმაღლეს აკადემიურ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩასარიცხად სავალდებულო გამოცდებია:

- ა) ქართული ენა და ლიტერატურა;
- ბ) ზოგადი უნარები;
- გ) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ფაკულტეტის მიერ არჩეული ერთი ან რამდენიმე უცხოური ენისაგან ერთ-ერთი: ინგლისური ენა; გერმანული ენა; ფრანგული ენა; რუსული ენა.

ფაკულტეტის მიერ ორი ან მეტი უცხოური ენის მითითების შემთხვევაში აბიტურიენტი ვალდებულია რამდენიმე გამოცდიდან ის ერთ-ერთი გამოცდა ჩააბაროს, რომელსაც თავად აირჩევს. ამასთან, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ფაკულტეტი უფლებამოსილია არ აირჩიოს კონკრეტული გამოცდა უცხოურ ენაში და ამ შემთხვევაში უცხოური ენის კონკრეტული გამოცდის არჩევის უფლება აბიტურიენტს ენიჭება.

აკადემიურ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩასარიცხად არჩევითი გამოცდებია:

- ა) ლიტერატურა;
- ბ) მათემატიკა;
- გ) ისტორია და საზოგადოებრივი მეცნიერებები;

და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები: დ.ა) საგნობრივი ნაწილით - ქიმია; დ.ბ) საგნობრივი ნაწილით - ფიზიკა; დ.გ) საგნობრივი ნაწილით - ბიოლოგია.

ამ გამოცდების ჩაბარება სავალდებულოა მხოლოდ იმ ფაკულტეტებზე ჩასარიცხად, რომელთაც მიუთითეს არჩევითი გამოცდები. აბიტურიენტებს უფლება აქვთ ერთზე მეტი არჩევითი გამოცდა ჩააბარონ. არჩევითი გამოცდების რაოდენობა შეზღუდული არ არის!

როგორ უნდა მოიქცეს აბიტურიენტი, თუ ფაკულტეტმა მიუთითა ორი არჩევითი გამოცდა ან საბუნებისმეტყველო მეცნიერებების გამოცდა ორი ან სამი საგნობრივი ნაწილით?

თუ ფაკულტეტმა ორი არჩევითი გამოცდა დაასახელა, მაშინ აბიტურიენტმა თავად უნდა აირჩიოს მისთვის სასურველი გამოცდა.

უნდა გაითვალისწინოთ, რომ ფაკულტეტი მისაღები კონტინენტის ფარგლებში აწესებს კვოტებს თითოეული არჩევითი საგნისათვის. მაგალითად: ფაკულტეტმა მიუთითა ორი არჩევითი გამოცდა - მათემატიკა და საქართველოს ისტორია-საზოგადოებრივი მეცნიერებები. იქვე იქნება მინიშნება, თუ რამდენ აბიტურიენტს მიიღებს ეს ფაკულტეტი იმ კონტინენტისაგან, ვინც მათემატიკა ჩააბარა და რამდენს - ვინც საქართველოს ისტორია-საზოგადოებრივი მეცნიერებები აირჩია. აბიტურიენტებს, რომლებიც განაცხადში (სარეგისტრაციო ანკეტაში) მიუთითებენ ორ ან მეტ ფაკულტეტს, რომლებ-

მაც საბუნებისმეტყველო მეცნიერებების გამოცდის განსხვავებულ საგნობრივი ნაწილებში მოითხოვს, გამოცდაზე საშუალება მიეცემათ შეასრულონ ყველა საგნობრივი ნაწილის ტესტური დავალებები.

საგამოცდო დრო საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა გამოცდაში განისაზღვრება 3 საათით. თუ აბიტურიენტებს უნევთ მეორე და მესამე არჩევითი საგნობრივი ნაწილის ჩაბარება, მათ დამატებით თითო საათი თითოეული საგნობრივი ნაწილისათვის.

თუ ფაკულტეტი საერთოდ არ მიუთითებს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ტესტის საგნობრივ ნაწილებს, აბიტურიენტი თავად ირჩევს მისთვის სასურველს.

რა შეიცვალა 2009 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების ტესტებში?

უპირველეს ყოვლისა, ცვლილება ეხება გამოცდის ფორმატს საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში.

2009 წელს უმაღლესი სასწავლებლების ცალკეულმა ფაკულტეტებმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს, აბიტურიენტების შერჩევისას უპირატესობა მიანიჭონ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ერთ-ერთი გარკვეული დისციპლინის ცოდნას. შესაბამისად, შეიცვალა გამოცდის ფორმატი საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში: 2009 წელს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა გამოცდის ტესტი შედგება ერთი ინტეგრირებული და სამი საგნობრივი ნაწილისაგან.

ინტეგრირებული ნაწილი შეიცავს საკითხებს სამივე საბუნებისმეტყველო დის-

ციპლინიდან (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია), ხოლო თითოეული საგნობრივი ნაწილი ამ დისციპლინიდან მხოლოდ ერთ-ერთის ისეთ საკითხებს, რომლებიც ამ კონკრეტული საგნის შედარებით ღრმა ცოდნას მოითხოვს.

ქულები შემდეგნაირად განაწილდება: ინტეგრირებულ ნაწილში აბიტურიენტს შეუძლია მოაგროვოს 75 ქულა; თითოეულ საგნობრივ ნაწილში - 25 ქულა; ჯამში - 100 ქულა.

გამოცდაზე აბიტურიენტმა უნდა შეასრულოს ტესტური დავალებები ინტეგრირებული ნაწილიდან და ერთი ან რამდენიმე (თუ ეს აუცილებელია) საგნობრივი ნაწილიდან, რათა დააკმაყოფილოს მის მიერ განაცხადში მითითებული ფაკულტეტების მოთხოვნები.

ამრიგად, 2009 წლის ერთიანი ეროვნულ გამოცდებზე უმაღლესი სასწავლებლების ზოგიერთი ფაკულტეტი მოითხოვს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ტესტის ჩაბარებას ერთ-ერთი წინასწარ განსაზღვრული საგნობრივი ნაწილით.

მაგალითად: თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტი ვაკანტურ ადგილებზე მიიღებს მხოლოდ იმ აბიტურიენტებს, რომელთაც ჩაბარებული ექნება ტესტი ბიოლოგიის განხრით, ანუ ინტეგრირებული ნაწილით და ბიოლოგიის საგნობრივი ნაწილით, ხოლო ფარმაციის ფაკულტეტზე კი - ქიმიის განხრით (ე. ი. ინტეგრირებული ნაწილითა და ქიმიის საგნობრივი ნაწილით).

აირჩიეთ. სად ისწავლით

უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმის ნაწილი ხარისხზე ორიენტირება



ბატონო გიორგი, რით იყო გამორჩეული გასული სასწავლო წელი და რა სახელებია მოსალოდნელი მიმდინარე სასწავლო წელს?

გასული წელი მნიშვნელოვანი იყო იმით, რომ უნივერსიტეტში სრულად ამოქმედდა სამივე საფეხური - წელს უკვე ნებისმიერ მსურველს შესაძლებლობა აქვს, სწავლა მაგისტრატურაში გააგრძელოს, შემდეგ კი - დოქტორანტურაში. რაც შეეხება სხვა სახელებს, დასასრულს მიუახლოვდა ოპტიმიზაციისა და როგორცაც სასწავლო, ისე ადმინისტრაციული სფეროში - როგორც სასწავლო, ისე ადმინისტრაციული.

მოგეხსენებათ, რომ ორი წლის წინ კულტურისა და ხელოვნების უნივერსიტეტთან ინტეგრირების შედეგად ჩამოყალიბდა სამი ფაკულტეტი. ორი წელი დაგვიწირდა დეტალური ანალიზისთვის, დაჩქარების გარეშე მივიღეთ გადაწყვეტილება, რომელი ფაკულტეტების შერწყმა შეიძლებოდა. საბოლოო შედეგი ასეთია: **დრამის, კინო-ტელე, ხელოვნებისა და სოციალურ მეცნიერებათა** ფაკულტეტები. ეს ფაკულტეტები სხვადასხვა სპეციალობებს აერთიანებს. დრამის ფაკულტეტში ორი დეპარტამენტი შედის - დრამატული ხელოვნების მიმართულებით, სადაც ისწავლება თეატრისა და კინოს მსახიობის ოსტატობა. სამსახიობო ხელოვნება რამდენიმე ნაწილად იყოფა - სასწავლო პროგრამაში გარკვეული განსხვავებებია, დრამისა და კინოს მსახიობის, მუსიკალური თეატრის მსახიობის, თოჯინური სტუდიის მსახიობის მომზადებაში და არავერბალური, ანუ პანტომიმის თეატრის მსახიობის მომზადებაში. ამ ფაკულტეტზე არის დრამის რეჟისორის მიმართულება, რომელიც დრამის ნაწილის შემადგენელია.

ფაკულტეტის მეორე დეპარტამენტი ფოლკლორისა და ტრადიციული ქართული ხელოვნების სპეციალობის მიმართულებით. ეს დეპარტამენტი აერთიანებს ქართულ ხალხურ და საეკლესიო მუსიკას და ქართული ცეკვის ქორეოგრაფიას. ეს ორი სპეციალობა ფუნქციონირებს კულტურისა და ხელოვნების უნივერსიტეტში, გაერთიანების შემდეგ ჩვენი ნაწილი გახდა. ასევე, კინო-ტელე ფაკულტეტი, რომელიც XX საუკუნის 70-იანი წლებიდან, ტრადიციულად არსებული ფაკულტეტი და აერთიანებს სარეჟისორო და საოპერატორო სპეციალობებს. აქაც გარკვეული განსხვავებაა სასწავლო პროგრამებში. ჩვენ ვამზადებთ მხატვრული ფილმის, დოკუმენტური და ანიმაციური ფილმების და ტელერეჟისორებს. შესაბამისად, მზადდებიან ოპერატორებიც - კინო-ტელეოპერატორები.

რაც შეეხება მესამე ფაკულტეტს - ხელოვნებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტს - ტრადიციულად, უნივერსიტეტის დაარსებიდან დღემდე, ვამზადებთ თეატრმცოდნეებს, ხელოვნებათმცოდნეებს და კინომცოდნეებს. აგრეთვე, ამ ფაკულტეტის კიდევ ერთი შემადგენელი ნაწილია ბიზნესის მიმართულება - სახელოვნებო მენეჯმენტის, არტმენეჯერების სპეციალობები. აი, ამ ფაკულტეტებისა და სპეციალობებისგან შედგება დღევანდელი ჩვენი უნივერსიტეტი.

- და მაინც, ამ ჩამონათვალთან რამდენად ყველაზე მეტად მოთხოვნილი ფაკულტეტი ან სპეციალობა?

ტრადიციულად, ყველაზე რეიტინგული სამსახიობოა, ყველაზე მაღალი კონკურსი სწორედ ამ ფაკულტეტზეა. ხშირად ერთ ადგილზე, მინიმუმ, 13-15 აბიტურიენტი მოდის, არის შემთხვევა, როცა 20-ზე მეტია. ასევე დიდია კონკურსი სარეჟისორო სპეციალობებზე, განსაკუთრებით კი კინორეჟისორობაზე. ბოლო ორი წელია, ინტერვალის შემდეგ, დიდი მოთხოვნაა ფოლკლორისა და ტრადიციული ქართული ხელოვნების ფაკულტეტზე, როგორც ქართული ცეკვის ქორეოგრაფიის, ისე ქართული ხალხური და საეკლესიო მუსიკის სპეციალობებზე. განსხვავება ისაა, რომ ჩვენი უმაღლესი, გარდა ეროვნული გამოცდებისა, ატარებს შიდა გამოცდებს, ანუ შემოქმედებით ტურებს. შიდა გამოცდები ტარდება ყველა სამსწავლებლო სპეციალობაზე, გარდა თეორიული ნაწილისა. ხელოვნებათმცოდნეები, თეატრმცოდნეები, კინომცოდნეები და მენეჯერები, ამ სპეციალობებზე სწავლის მსურველი აბიტურიენტები, ჩვეულებრივ აბარებენ ერთიან ეროვნულ გამოცდებს და სწორედ ამ გამოცდების შედეგების მიხედვით ხვდებიან ჩვენს უნივერსიტეტში. ანუ განვმარტავ კიდევ ერთხელ, რომ შიდა ტური ტარდება მხოლოდ სამსწავლებლო სპეციალობების აბიტურიენტებისთვის (მსახიობები, რეჟისორები, კინორეჟისორები, ვოკალისტები, მოცეკვავეები და ა.შ.).

- როდის ტარდება შემოქმედებითი ტურები?

ტრადიციულად, ტურები იწყება ივნისში, ერთიანი ეროვნული გამოცდების დაწყებამდე. ტურების შედეგები იგზავნება შეფასების ეროვნულ ცენტრში. შიდა ტურების ქულები ერთიანი ეროვნული გამოცდების ქულებთან ერთად, გადამწყვეტია. საბოლოოდ, ამა თუ იმ ფაკულტეტზე ჩარიცხვისას,

გვიანობაზე შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის რეჟისორ ბიორგი მარბველაშვილი

შემოქმედებითი ტურების ქულებს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება იმ შემთხვევაში, თუკი აბიტურიენტი ერთიანი ეროვნული გამოცდების მინიმალურ ბარიერს დაძლევეს.

- რამდენი აბიტურიენტის მიღებას აცხადებს წელს თეატრისა და კინოს უნივერსიტეტი?

წელს, ატესტაციის შედეგად, შეგვიძლია მივიღოთ 205 ბაკალავრი - პირველკურსელი. ჩვენ ორიენტირებული ვართ არა რაოდენობაზე, არამედ ხარისხზე, ამიტომაც სრულიად აკმაყოფილებს პირველკურსელთა რაოდენობა დღევანდელ მოთხოვნებს. ეს ფაქტორი უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმის ნაწილია, გვინდა ოპტიმალურ რაოდენობამდე დავიყვანოთ წლების განმავლობაში არსებული სტუდენტთა გაუმართლებელი სიმრავლე (2000 სტუდენტი), რადგანაც ასეთ პირობებში ხარისხზე ლაპარაკი უზემდეტია. დამეთანხმებით, რომ დიდი უნივერსიტეტის რესურსი საქართველოში არ არსებობს. რეფორმის დაწყებამდე ჩვენი უნივერსიტეტი ყოველწლიურად იყვანდა 5-6 სამსახიობო ჯგუფს (თითო ჯგუფში 20-25 სტუდენტი), ეს აბსოლუტურად არარეალური ციფრია. ბოლო სამი წელია, რაც კურსზე ვიყვანთ 3 ჯგუფს, თითო ჯგუფში არაუმეტეს 15 სტუდენტისა. ეს ძალიან მნიშვნელოვანია, რადგანაც შედეგად ეძლევა საშუალება, დაუთმოთ ჯგუფს საჭირო დრო, რადგან სამსწავლებლო სპეციალობაზე თეორიული სპეციალობებისგან განსხვავებით, სწავლების პროცესი საკმაოდ დიდ დროს მოითხოვს, აქ არ ტარდება ლექციები, პედაგოგს ყოველდღიურად უნევს სტუდენტებთან სარეპეტიციო რეჟიმში მუშაობა, დავალება სრულდება, შემდეგ ფასდება, ისევ სრულდება და ა.შ. დამეთანხმებით, ამას დიდი ძალისხმევა და დრო სჭირდება. იმისთვის, რომ სასწავლო პროცესს რაიმე კონკრეტული შედეგი შერწყდეს, სტუდენტებმა შეძლონ იმ პროფესიული უნარ-ჩვევების მიღება, რაც უმაღლესი განათლების ცენტრში სამსახიობო ოსტატობაში აუცილებელია, ჯგუფი არ უნდა იყოს მრავალკუნრი თეატრის სამსახიობო, თუმცა მნიშვნელოვანია. სამსახიობო ჯგუფიდან ერთი, პირობითად, საერთო ჯგუფია, ხოლო ორი ჯგუფი კონკრეტული სპეციალობების მიხედვით იყოფა - ჩამონათვალში არსებული მიმართულებები: მუსიკალური თეატრის სამსახიობო, რომელიც ოთხ ნელიდან ერთხელ ვიყვანთ; თოჯინური თეატრის ან პანტომიმის თეატრის სამსახიობო, რომლებსაც ასევე 4 ნელიდან ერთხელ ვიყვანთ. მესამე ჯგუფი მიზნობრივ ჯგუფია, რომელსაც კონკრეტული თეატრები გვიკვებთ, მაგალითად, წელს ავიყვანეთ ორი მიზნობრივი ჯგუფი - ერთი ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის თეატრის დაკვეთით, მეორე კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის სოხუმის თეატრის დაკვეთით. ამ ჯგუფებში ის სტუდენტები სწავლობენ, რომლებიც უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მივლინებულნი იქნებიან დასახლებულ თეატრებში.

- რა კრიტერიუმით ირჩევა სტუდენტი მიზნობრივ ჯგუფისთვის?

მიზნობრივ ჯგუფში ნებისმიერ მსურველს შეუძლია მოხვედეს. რა თქმა უნდა, ამ ჯგუფებში მოხვედრის მსურველთა უმრავლესობა არის იმ რეგიონიდან, სადაც დებარეობს „დამკვეთი“ თეატრი. თუმცა, ბოლო წლებში, შეცვალეთ ეს პირობა შეგვეცვალა და ჯგუფში მოხვედრა ნებისმიერ მსურველს შესაძლებელია.

წინათ აუცილებელი პირობა იყო, სტუდენტი მაინცდამაინც იმ რეგიონიდან ყოფილიყო, რომელმაც დაკვეთა მოგვცა.

რაც შეეხება დრამის სარეჟისოროს, სამწუხაროდ, ბოლო წლებში ამ სპეციალობაზე მაღალი კონკურსი არ არის, მაგრამ დიდი იმედია მაქვს, რომ წლებიდან წელი გამოიწვევს იქნება. სარეჟისორო სწავლების ნაწილი მოწვეული გვყავს ძალიან მაღალი პროფესიული დონის რეჟისორები. წელს, პირველად ავიყვანეთ დრამის რეჟისურაში მაგისტრატურის ჯგუფი, რომელსაც სათავეში ჩაუდგა **რობერტ სტურუა**. მოლაპარაკება გვაქვს ბატონ **თემურ ჩხეიძესთან**, დარწმუნებულები ვართ, რომ იგი დავთანხმდებთ. გარდა ამისა, ბაკალავრიატში რეჟისურას ასწავლიან **ავთო ვარსიმაშვილი**, **გია კიტია**. ასე რომ, იმედია მაქვს სამომავლოდ დრამის რეჟისურაზე კონკურსი გაიზარდება.

რაც შეეხება კინოფაკულტეტს, აქ, ტრადიციულად, კონკურსი მაღალია. თუმცა, მიღება შევამკრეთ. თუ ადრე 3-4 ჯგუფში 20 სტუდენტს ვიღებდით, დღეისთვის ეს რიცხვი 10-მდე დავიდა.

შემცირებულია მიღება ფოლკლორის, კინომცოდნეობის, თეატრმცოდნეობისა და მენეჯერის სპეციალობებზე. ასე რომ, 205 სტუდენტი საკმარისად ეტევა სამსახიობო, დრამის რეჟისორის, კინორეჟისორის, საოპერატორო ხელოვნების, ქართული ცეკვის - ქორეოგრაფიის, ხალხური და საგუნდო სიმღერების (დირიჟორი, ლობტარა), თეატრმცოდნეობის, კინომცოდნეობის, ხელოვნებათმცოდნეობის, მენეჯერის, სულ 10 სპეციალობაზე.

- რაც შეეხება სასწავლო პროგრამებს, მოხდა თუ არა მათი გადახალისება?

სასწავლო პროგრამები დამტკიცებულია საკრედიტაციო სამსახურის მიერ, მასში გარკვეული კორექტივების შეტანა, მუდმივად მიმდინარეობს როგორც ბაკალავრიატის, ისე მაგისტრატურის საფეხურებზე.

- რა ინფორმაცია უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ინფრასტრუქტურა, ხომ არ იგეგმება მომავალში შენობა-ნაგებობის იერსახის შეცვლა?

წინა წლებთან შედარებით, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა მკვეთრად გაუმჯობესდა, თუმცა, იმდენად სწრაფად ვითარდება ტექნოლოგიები, რომ ძალიან დიდი სახსრების (ფინანსების) გარეშე ძნელია იყო სრულყოფილად თანამედროვედ აღჭურვილი. თუმცა, ჩვენი შემოსავლების კვალობაზე

ვცდილობთ, პირველ რიგში, სწორედ იმ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება-გაუმჯობესებაზე ზრუნვას, რომელიც ფუნქციონალურად აუცილებელია სასწავლო პროცესის სრულყოფისათვის.

რაც შეეხება შიდა სარემონტო სამუშაოებს, უნივერსიტეტში მუდმივად მიმდინარეობს აუდიტორიების კეთილმოწყობა, რაც ფუნქციურად აუცილებელია.

- გაქვთ თუ არა კონტაქტები უცხოეთის სახელოვნებო სასწავლებლებთან და მუშაობს თუ არა გაცვლითი პროგრამები?

რა თქმა უნდა, კონტაქტები, გაცვლითი პროგრამები აუცილებელია ყველა სახელოვნებო სასწავლებლისთვის. ჩვენ ასეთ ურთიერთობებს დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ. საქართველოში მემორანდუმები გაფორმებულია თსუ-სთან, კონსერვატორიასთან, ბათუმის უნივერსიტეტთან, სამხატვრო აკადემიასთან, ასევე ლიტვის ჩვენივე პროფილის სასწავლებელთან. რამდენიმე წლის წინ, გვექონდა შეხვედრები კრაკოვის (პოლონეთი) და ვარშავის თეატრალურ სასწავლებლებთან. ახლა ვამზადებთ ტექსტს, რათა გავაფორმოთ მემორანდუმები. რამდენიმე წლის წინ, გვექონდა შეხვედრები ვარტონ მათთან ურთიერთობით დაინტერესებულნი, ასევე დიდა მათი ინტერესი ჩვენი უნივერსიტეტის მიმართაც - იქაც ბევრი რამ არის ჩვენთვის სასარგებლო და არის მთელი რიგი სპეციალობები და სასწავლო პროგრამები, რომლებიც მათ ინტერესებთ ჩვენგან. გარდა ამისა, ჩვენი უნივერსიტეტი გაერთიანებულია რამდენიმე საერთაშორისო ორგანიზაციაში და ამ მიმართებით მუშაობა მომავალშიც გავრცელდება. სამწუხაროა, რომ ჩვენი ბიუჯეტი დღესდღეობით არ იძლევა იმის საშუალებას, გაცილებით აქტიური პოლიტიკა ვაწარმოოთ ამ მიმართულებით. ასეთი ურთიერთობის განვლილი ეტაპია ის, რომ ლიტვაში მივლინებული იყვნენ ჩვენი პროფესორები, რომლებიც უმაღლესი სასწავლებლების სამაგისტრო გამოცდების, კომისიების მუშაობაში მონაწილეობდნენ. ახლა ლიტველი პროფესორ-მასწავლებლები ჩამოვლენ ჩვენთან იმავე მისიით. გარდა ამისა, დავგეგმეთ ერთობლივი სადღიპორო ნამუშევრების შექმნა კინოსა და დრამის ფაკულტეტებზე. მაგალითად, ოპერატორი იქნება ლატვიელი სტუდენტი, რეჟისორი კი ქართველი და ა.შ. ასეთივე პრინციპით შეიქმნება სპექტაკლი დრამის ფაკულტეტზე - შესაძლებელია, ჩვენი სტუდენტი მივაგვლინოთ იქ რეჟისორის რანგში, რომელიც ლიტველი სტუდენტების მონაწილეობით დადგამს სადღიპორო სპექტაკლს ან პორტიტ.

- გავირდება თუ არა უნივერსიტეტში სწავლის საფასური და სთავაზობთ თუ არა სტუდენტებს გარკვეულ შეღავათებს?

მოგეხსენებათ, სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის საფასური 1500-დან 2500 ლარამდე გაიზარდა. ასეა ჩვენთანაც, თუმცა არის ერთი სხვაობა. კერძოდ: სხვა უმაღლეს სასწავლებლებში (გვულისხმობ არა სახელოვნებო სასწავლებლებს) აბიტურიენტი გრანტს მხოლოდ ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგებიდან გამომდინარე იღებს. სახელოვნებო უმაღლესებში კი ცოტა სხვაგვარადაა. ამ ტიპის უმაღლესი სასწავლებლების ბიუჯეტში გათვალისწინებულია გარკვეული თანხა იმ აბიტურიენტებისთვის, რომლებიც განსაკუთრებულ მონაცემებს გამოავლენენ და შიდა ტურებზე მაღალ შეფასებას დაიმსახურებენ. ასეთი აბიტურიენტებისგან ყალიბდება მაღალტალანტების ჯგუფი, რომელსაც უნივერსიტეტი თავად აფინანსებს. ასეთი სტუდენტებისთვის საშემსრულებლო სპეციალობებზე 65 ადგილია განკუთვნილი. ეს წესი არ ვრცელდება კინომცოდნეებზე, თეატრმცოდნეებზე, ხელოვნებათმცოდნეებსა და მენეჯერებზე. ეხება მხოლოდ მსახიობებს, რეჟისორებს, კინორეჟისორებს, ფოლკლორისტებს. გარდა ამისა, თითოეულ მათგანს ეროვნული გამოცდების წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში სახელმწიფო გრანტის მოპოვების შანსიც აქვს. ჩვენ გვყავს რამდენიმე სტუდენტი, რომლებიც მოხვედნენ უნივერსიტეტში უფასოდ სწავლის პროგრამით და, ამავე დროს, 100%-იანი გრანტი აიღეს ეროვნულ გამოცდებზე. ეს წესი სამივე უმაღლეს სახელოვნებო სასწავლებელზე ვრცელდება და ვინანსურად უზრუნველყოფს კულტურის სამინისტრო. ეს კონკრეტული თანხა იმისთვის, რომ ქართულმა კულტურამ არ დაკარგოს განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული არც ერთი ახალგაზრდა.

გარდა ამისა, აბიტურიენტები, რომლებიც შიდა გამოცდებზე მაღალ ქულებს ვერ აგროვებენ, მაგრამ გამსვლელ ქულებს იღებენ, ეროვნული გამოცდების წარმატებით გავლის შემთხვევაში, ირიცხებიან ჩვენს უნივერსიტეტში, ოღონდ ისინი თავად აფინანსებენ სწავლას.

ბუნებრივია, გვყავს სტიპენდიანტი სტუდენტები და გვაქვს რამდენიმე სახის შეღავათიც. მაგალითად: სოციალურად დაუცველი ან ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლაში დაღუპულთა ოჯახის წევრებს ვაძლევთ შეღავათს. საერთოდ, ჩვენთან მდიდარი ოჯახის შვილები არ სწავლობენ და ფინანსური პრობლემებიც იჩენს ხოლმე თავს. სტუდენტებს, თუ ისინი გამორჩევიან განსაკუთრებული ნიჭითა და სწავლის სურვილით, ვაძლევთ ეტაპობრივად გადახდის საშუალებას.

ასე რომ, ახალგაზრდებს, რომელთაც სურთ, თავიანთი საქმიანობა ხელოვნებას დაუკავშირონ, აქვთ საამისო ნიჭი და განსაკუთრებული შრომისმოყვარეობა, აცილებლად უნდა ცვალონ ბედი იმისთვის, რომ ქართული კულტურა არ დაკარგოს განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული არც ერთი ახალგაზრდა.

გისურვებთ წარმატებებს!

საქართველოს იაკოვ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგთა კავშირი

საქართველოს საჯარო და კერძო სკოლების დანახებითი საფეხურის წლის საუკეთესო პედაგოგის გამოსავლენი კონკურსის დაბეჭდვა

I. კონკურსის მიზნები და ამოცანები:

საქართველოს საჯარო და კერძო სკოლების დანახებითი საფეხურის წლის საუკეთესო პედაგოგის გამოსავლენი კონკურსის მიზანია:

- თანამედროვე ეროვნული საგანმანათლებლო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების შედეგებზე და მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის რეალიზაცია;
• ისეთი პედაგოგების შერჩევა და გამოვლენა, რომელთაც უნარი შესწევთ:
• უზრუნველყონ სასწავლო პროცესის მაღალ დონეზე წარმართვა;
• მოსწავლის სტანდარტის მოთხოვნათა გათვალისწინებით საგაკვეთილო მიზნების განსაზღვრა, შესაბამისი საფარული მეთოდების, აქტივობების ჯგუფური და ინდივიდუალური მუშაობის მაღალ დონეზე შესრულება საჭირო რესურსების გამოყენებით;
• საგაკვეთილო პროცესში კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობისას მოსწავლეთა მოტივაცია;
• მოსწავლეთა შორის, მოსწავლეებსა და მასწავლებლებს შორის თანამშრომლობის ჩამოყალიბება;
• მოსწავლეთა თვითშეფასების ამაღლება, წარმატებისკენ სწრაფვა, დასახული მიზნების მიღწევისთვის აუცილებელი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება.

II. კონკურსის პირობები და შეფასების კრიტერიუმები:

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია საქართველოს ყველა საჯარო და კერძო სკოლის დანახებითი კლასის მასწავლებელს, რომელსაც აქვს მუშაობის, არანაკლებ, 5 წლის სტაჟი.

- ამასთან, კონკურსანტი უნდა გამოირჩეოდეს:
• საალმზრდელი პედაგოგიური თეორიების, კერძო მეთოდებისა და ასაკობრივი ფსიქოლოგიის ღრმა ცოდნით;
• თვითგანათლების, პროფესიონალიზმის განუწყვეტელი ამალგების უნარით;
• როგორც სასკოლო, ასევე კლასგარეშე და სკოლისგარეშე ღონისძიებების ჩატარებით, მოსწავლეთა გონებრივი, ზნეობრივი, ესთეტიკური, ფიზიკური და სპორტული ჩვევების აღზრდაში;
• ავტორიტეტით, კომპეტენტობით, პროფესიონალიზმით;
• სკოლაში, პედაგოგთა შორის, ჯანსაღი მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის შექმნის, ურთიერთპატივისცემის ატმოსფეროს დამკვიდრების ინიციატივით;
• მშობელთა პედაგოგიზაციისათვის განეული მუშაობით;
• თემთან მუშაობის გამოცდილებით;
• პედაგოგიურ კონფერენციებში, კითხვებსა და პედაგოგიურ პრესაში აქტიური და წარმატებული მონაწილეობით.

III. კანდიდატურების შერჩევა და გამარჯვებულთა გამოვლენა:

• კონკურსი „წლის საუკეთესო დანახებითი კლასის მასწავლებელი“ ტარდება წელიწადში ერთხელ, სამ ტურად:

I ტური – ტარდება 2009 წლის 1 თებერვლიდან 1 აპრილამდე. პირველი, ანუ სასკოლო ტური ტარდება სკოლის ადმინისტრაციის მიერ შექმნილი კომისიის მიერ.

კონკურსი უნდა ჩატარდეს საჯაროობის სრული დაცვით. კონკურსანტს სკოლა წარადგენს რესურსცენტრში შემდეგი დოკუმენტაციით:

- 1. დახასიათება;
2. კომისიის სხდომის ოქმის ამონაწერი;
3. ლია გაკვეთილების (2 ან 3) კონსპექტი ან მისი ვიდეოგვერსია.

II ტური – 1 აპრილიდან 1 ივნისამდე. ტარდება საქალაქო და რაიონულ რესურსცენტრებში, რესურსცენტრის ხელმძღვანელისა და იაკოვ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგთა კავშირის ადგილობრივი საქალაქო და რაიონული თავმჯდომარის მიერ შერჩეული ჟიურის გადაწყვეტილებით.

ჟიური განიხილავს წარმოდგენილ კანდიდატებსა და მასალებს და გამარჯვებულს მესამე, დასკვნით ტურზე წარადგენს.

გამარჯვებული კონკურსანტის მიერ წარდგენილ მასალებს რეკომენდაცია-წარდგინებას აძლევს რესურსცენტრი და პედაგოგთა კავშირის ადგილობრივი თავმჯდომარე, პირადი ხელმოწერითა და ბეჭდით. დასკვნით III ტური ტარდება თბილისში – 1 ივნისიდან 1 ივლისამდე, იაკოვ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგთა კავშირის ცენტრალურ ოფისში, პედაგოგთა კავშირის გამგეობის მიერ შერჩეულ ექსპერტთა ჯგუფის მიერ.

ექსპერტთა ჯგუფი იმსჯელებს წარმოდგენილი საკონკურსო მასალების ირგვლივ, შეაჯამებს შედეგებს და გამოავლენს გამარჯვებულს.

ექსპერტთა ჯგუფის გადაწყვეტილების განხორციელება და გამარჯვებულთა დაჯილდოება:

კონკურსში გამარჯვებულს ენიჭება „წლის საუკეთესო დანახებითი კლასის მასწავლებლის (ხელმძღვანელის)“ წოდება.

გამარჯვებული ჯილდოვდება იაკოვ გოგებაშვილის საიუბილეო მედლითა და სიგელით, რომელიც გადაეცემა 2009 წლის 27 ოქტომბერს, „იაკობობის“ დღის აღსანიშნავ ზეიმზე.

საქართველოს იაკოვ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგთა კავშირის გამგეობა. თბილისი, დ. უზნაძის №68, ტელ.: 95 68 28, 95 61 93.

სამ მამისტრანტს ოთარ ჩხეიძის სახელობის სტიპენდია გადაეცა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ლიტერატურისა და თარგმანის პროგრამის სამ მაგისტრანტს: ანა კობალიანს, გიორგი კეკელიძესა და ოქტაი ქაზუმოვს გამოჩენილი მწერლის, ოთარ ჩხეიძის სტიპენდია გადაეცა.

კონკურსანტებმა ჟიურის წევრებს წარუდგინეს აღმოსავლური და ევროპული ენებიდან თარგმნილი ნამუშევრები, აგრეთვე, სამეცნიერო ნაშრომები, რის შემდეგაც, თორმეტი კონკურსანტიდან, სამი საუკეთესო შერჩა.

როგორც უნივერსიტეტის რექტორმა, გიორგი ხუბუამ განაცხადა: „ოთარ ჩხეიძის ქართული მწერლობის წინაშე გამორჩეულად დიდი დამსახურება მიუძღვის. ამიტომაც მისი სახელობის სტიპენდიის დაწესება შეტად მნიშვნელოვანია. სტიპენდიანტების შემჩრევე კომისიას სამი ნიჭიერი მაგისტრანტის გამოვლენა ძალზე გაუჭირდა, რადგან თორმეტივე ერთმანეთზე უკეთესი კანდიდატი იყო.“

კომისიის ხელმძღვანელი პროფესორი გიორგი გაჩეჩილაძე: „ოთარ ჩხეიძის შემოქმედება საიდუმლოებით არის გარემოცული. იგი არა მხოლოდ თანამედროვეობის, არამედ მომავალი საუკუნეების მწერალია, რომლის შემოქმედებაც, ფაქტობრივად, ორ პერსონაჟს – საქართველოსა და ქართულ ენას დასტრიალებს თავს. ოთარ ჩხეიძის შემოქმედება ისევე იტევს ყოველივე საიდუმლოს, როგორც იოანე ზოსიმეს სიტყვით, თვით ქართული ენა, სწორედ ეს გამოარჩევს ოთარ ჩხეიძის თავისი დროის ლიტერატურული პროცესისგან.“

სიტყვითა და მოგონებებით გამოვიდნენ: მკაე ჯონაძე, კახა ლორია, რამაზ ქურდაძე,

ჯანსუღ ჩარკვიანი, ქეთევან შენგელია, ლია სტურუა.

როგორც თავად სტიპენდიანტებმა აღნიშნეს, ოთარ ჩხეიძის სახელობის სტიპენდიანტის სახელის ტარება მათთვის დიდი პატივია და მათ დამატებით მორალურ პასუხისმგებლობას აკისრებს.

სტიპენდიების გადაცემის შემდეგ გაიმართა ოთარ ჩხეიძის ვაჟის – როსტომ ჩხეიძის ახალი ბიოგრაფიული რომანის – „ავგისტოს შვილები“ პრეზენტაცია.

როსტომ ჩხეიძე: „ამ წიგნის დაწერისკენ მამის დღიურების წაკითხვამ მიბიძგა, რომლებიც 1000 გვერდს აჭარბებს და 1965 წლიდან იწერებოდა. წიგნის გამოცემის იდეა კი კობა იმედაშვილს ეკუთვნის. ბაბუა 1924 წლის აგვისტოს ცნობილი აჯანყების მონაწილე იყო, რისთვისაც იგი, საკუთარ ძმასთან და ბიძასთან ერთად, დახვრიტეს. წიგნის სათაურიც საქართველოსა და ჩხეიძეების ოჯახში დატრიალებულმა ტრაგედიამ განაპირობა. შემთხვევითი, ალბათ, არც ის ყოფილა, რომ 2008 წლის აგვისტოს ომი ჩემს მშობლიურ სოფელ ყელქვეულსაც მწარედ შეეხო, იქ ერთ-ერთი სასტიკი ბრძოლა გაიმართა. ახალ რომანში სინამდვილე ისევე შეულამაზებლად არის წარმოდგენილი, როგორც ეს მამაჩემის შემოქმედებისთვის იყო დამახასიათებელი.“

შეხვედრის დასასრულს, გიორგი ხუბუამ მადლიერების გრძნობით აღნიშნა, რომ „ოთარ ჩხეიძის სახელობის სტიპენდია, პირველად ქართული უნივერსიტეტის სტუდენტებს მიენიჭათ. ეს ახალგაზრდებისთვის სტიმულის მიმცემია, უკეთ რომ ისწავლონ და მათი შრომა დაუფასებელი არ დარჩეს.“

სართიჭალის №3 საჯარო სკოლის პედაგოგები იუნყება, რომ მძიმე ავადმყოფობის შემდეგ, 5 წლის ასაკში, გარდაიცვალა ამავე სკოლის პედაგოგი ასმათ სამნაშვილი და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

შპს „ტექსარვისსცენტრი“

კომპიუტერული, საოფისე და საყოფაცხოვრებო ტექნიკის სერვისი

სასწავლო დაწესებულებებისთვის ფასდაკლება 20%, ადგილზე მომსახურება, უფასო დიაგნოსტიკა

- კარტრიჯების აღდგენა.
• პრინტერების შეკეთება.
• კოპირების შეკეთება.
• ქსელის მონტაჟი.
• კომპიუტერის პროგრამული უზრუნველყოფა.
• ნოუთბუქების შეკეთება.
• ვებ დიზაინი.
• ტელეფონების (რადიო ტელეფონი, მობილური, ფაქსი) შეკეთება.
• სისტემური ტელეფონის მონტაჟი-პროგრამირება-შეკეთება.
• უწყვეტი კვების ბლოკების და ადაპტერების შეკეთება.
• მონიტორების შეკეთება.
• ტელევიზორის შეკეთება.
• ტელევიზორის ქსელის მონტაჟი.
• მუსიკალური ცენტრების შეკეთება.
• სარეცხი მანქანის შეკეთება.
• გაზის და ელექტროქურების შეკეთება.
• მაცივრების შეკეთება.
• კონდინციონერების შეკეთება.
• სხვა საყოფაცხოვრებო ტექნიკის შეკეთება.
• დამაფონის მონტაჟი-შეკეთება.
• დაცვითი და სისტემების პროექტირება-მონტაჟი-შეკეთება.
• სანტექნიკის მონტაჟი-შეკეთება.
• გათბობის სისტემის მონტაჟი შეკეთება.
• დაბალი დენების ქსელის დაპროექტება-მონტაჟი.
• საწარმოს ხაზის მონტაჟი.
• სხვადასხვა ფორმატის კასეტების ინფორმაციის ჩაწერა-გადაწერა.

აღ. ყაზაგაძის გამზ. №1. ტელ: 371-471, 37-41-14 ელ-ფოსტა: tsc@caucasus.net servise@tsc.ge

www.tsc.ge

შპს „ტექსარვისსცენტრი“





Table with columns for code, name, address, and contact info. Includes entries 03305, 03306, 03307, 03308.

Table with columns for code, name, address, and contact info. Includes entries 03601, 03602, 03603, 03604.

Table with columns for code, name, address, and contact info. Includes entries 04001, 04002.

Table with columns for code, name, address, and contact info. Includes entries 04701, 04702, 04703.

Table with columns for code, name, address, and contact info. Includes entries 01207, 01601, 01602, 01603, 01604.

Table with columns for code, name, address, and contact info. Includes entries 02001, 02002, 02003, 02004, 02005.

Table with columns for code, name, address, and contact info. Includes entries 03301, 03302, 03303, 03304.

Table with 12 columns: Code, Name, Address, Phone, Fax, Website, Email, and Academic Levels (I, II, III). Includes entries 09803 and 09804.

Table with 12 columns: Code, Name, Address, Phone, Fax, Website, Email, and Academic Levels (I, II, III). Includes entry 09805.

Table with 12 columns: Code, Name, Address, Phone, Fax, Website, Email, and Academic Levels (I, II, III). Includes entries 12001 and 12002.

Table with 12 columns: Code, Name, Address, Phone, Fax, Website, Email, and Academic Levels (I, II, III). Includes entries 12101, 12102, 12103, 12104, and 12105.

Table with 12 columns: Code, Name, Address, Phone, Fax, Website, Email, and Academic Levels (I, II, III). Includes entries 09001, 09002, and 09003.

Table with 12 columns: Code, Name, Address, Phone, Fax, Website, Email, and Academic Levels (I, II, III). Includes entries 09201, 09202, and 09203.

Table with 12 columns: Code, Name, Address, Phone, Fax, Website, Email, and Academic Levels (I, II, III). Includes entry 09301.

Table with 12 columns: Code, Name, Address, Phone, Fax, Website, Email, and Academic Levels (I, II, III). Includes entries 09801 and 09802.

ა. წმინდა												
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება - წმინდის კოლეჯი 139												
მისამართი: სიღნაღის მუნიციპალიტეტი, ქ. წმინდა, უნივერსიტეტის ქ. 232												
საკონტაქტო მისამართი: 800 700991, 899 418444												
განმსჯელებელი მოთხოვნები -												
ფართობის დასაბუთება	საერთაშორისო მოთხოვნები	საერთაშორისო მოთხოვნები	საერთაშორისო მოთხოვნები	საერთაშორისო მოთხოვნები	საერთაშორისო მოთხოვნები	საერთაშორისო მოთხოვნები	საერთაშორისო მოთხოვნები	საერთაშორისო მოთხოვნები	საერთაშორისო მოთხოვნები	საერთაშორისო მოთხოვნები	საერთაშორისო მოთხოვნები	საერთაშორისო მოთხოვნები
13901	გერმანიის და ბავარიის	ქართ. 210	1500	70	1	2	3	4	5	6	7	8
13902	საბერძნეთის და სერბეთის	ქართ. 740	1500	55	4	4	4	4	4	4	4	4
13903	საბერძნეთის და სერბეთის	ქართ. 740	1500	40	5	3	4	4	4	4	4	4
13904	საბერძნეთის და სერბეთის	ქართ. 240	1500	30	3	3	4	4	4	4	4	4
13905	საბერძნეთის და სერბეთის	ქართ. 210	1500	20	3	5	4	4	4	4	4	4

ა. ხელის												
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება - უნივერსიტეტი 142												
მისამართი: სიღნაღის მუნიციპალიტეტი, ქ. წმინდა, უნივერსიტეტის ქ. 232												
საკონტაქტო მისამართი: 800 700991, 899 418444												
განმსჯელებელი მოთხოვნები -												
ფართობის დასაბუთება	საერთაშორისო მოთხოვნები	საერთაშორისო მოთხოვნები	საერთაშორისო მოთხოვნები	საერთაშორისო მოთხოვნები	საერთაშორისო მოთხოვნები	საერთაშორისო მოთხოვნები	საერთაშორისო მოთხოვნები	საერთაშორისო მოთხოვნები	საერთაშორისო მოთხოვნები	საერთაშორისო მოთხოვნები	საერთაშორისო მოთხოვნები	საერთაშორისო მოთხოვნები
14201	საბერძნეთის და სერბეთის	ქართ. 240	1500	26	7	3	2	2	2	2	2	2
14202	საბერძნეთის და სერბეთის	ქართ. 740	1500	56	7	3	2	2	2	2	2	2
14203	საბერძნეთის და სერბეთის	ქართ. 740	1500	56	7	3	2	2	2	2	2	2
14204	საბერძნეთის და სერბეთის	ქართ. 210	1500	56	7	3	2	2	2	2	2	2
14205	საბერძნეთის და სერბეთის	ქართ. 210	1500	56	7	3	2	2	2	2	2	2
14206	საბერძნეთის და სერბეთის	ქართ. 240	1500	56	7	3	2	2	2	2	2	2
14207	საბერძნეთის და სერბეთის	ქართ. 740	1500	56	7	3	2	2	2	2	2	2

- ბათუმის სივრცე:**
- ერთიანი ეროვნული გამოცდებში მონაწილეობის მსურველებმა რამდენიმე რაიონის გამოცდებში უნდა მონაწილეონ. ისინი, ვინც ამ დროის განმავლობაში არ იმყოფებოდა სახელმწიფო გამოცდებში, გამოცდების პროცედურის დასრულების შემდეგ უნდა მონაწილეონ გამოცდებში. გამოცდების პროცედურის დასრულების შემდეგ უნდა მონაწილეონ გამოცდებში. გამოცდების პროცედურის დასრულების შემდეგ უნდა მონაწილეონ გამოცდებში.
 - იმისათვის, რომ გადასახდეს მინიმალური კომპიუტერული ზღვარი, აბიტურენტმა უნდა მიიღოს მინიმუმ 26 ქულა (უცხოურ ენებში 21 ქულა).
 - 2009 წელს შემოღებული განაცხადი ბაკალავრიატის დასრულების შემდეგ უნდა შეესაბამებოდეს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიურ და უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებში სწავლის განხორციელებას. მოქმედი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების არსებობის შემთხვევაში უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ უნდა მონაწილეონ გამოცდებში.

სად და როდის გაივლიან აბიტურენტები რამდენიმე რაიონის გამოცდებს?

2009 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის აბიტურენტების რამდენიმე რაიონის გამოცდებში მონაწილეობის შესახებ ინფორმაციის მისაღებად უნდა მიმართოთ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური განყოფილებას. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური განყოფილების მისამართი: სიღნაღის მუნიციპალიტეტი, ქ. წმინდა, უნივერსიტეტის ქ. 232. ტელ: 800 700991, 899 418444.

კვალი ნათელი

ყველაზე დიდი მასწავლებელი ცხოვრებაა



ყველაზე დიდი მასწავლებელი ცხოვრებაა, ისეთ ადამიანებს გვახვედრებს, რომლებიც სამაგალითონი არიან. როგორი შემთხვევებიც უნდა შემოგოთავაზოს ცხოვრებამ, თუ გულისყურით არ მოუსმინე, არ დაინახე, არ გაიაზრე, არ დაფასე და არ გამოიყენე, ვერაფერს ისწავლი.

ხაშურის მუნიციპალიტეტის, სოფელ ხცისის საჯარო სკოლის პედაგოგთა დიდ ნაწილს ცხოვრებამ სწორედ ასეთი შესანიშნავი შემთხვევა გვაჩუქა. ჩვენ გვერდით ცხოვრობდა და მუშაობდა ერთი ჩინებული ქართველი კაცი – **ვანო (ივანე) ხრიკული**. ვანო მასწავლებელი (ჩვენ მას დღესაც ასე მოვიხსენიებთ) არა მარტო პროფესიით, თავისი ცხოვრებითაც მასწავლებელი გახლდათ. იგი დღესაც უდიდეს მაგალითს წარმოადგენს ადამიანური, ზნეობრივი, პროფესიული თვალსაზრისით, მოთმინების, კაცთმოყვარეობის, კეთილშობილების ნიმუში.

ბატონი ვანო მათემატიკოსი იყო, 50 წელი ხელმძღვანელობდა მშობლიური სოფლის სკოლას, ბოლო რამდენიმე წელი კი – მათემატიკას ასწავლიდა. იყო შესანიშნავი მეუღლე, მამა, ბაბუა, მეგობარი, დამრიგებელი და ყოველთვის სხვათა ჩრთა გამზიარებელი. მის ხელში აღზარდა მრავალი თაობა, რომელთათვისაც ვანო მასწავლებელი ყოველთვის ცხოვრების მასწავლებლად და მრჩევლად რჩებოდა. მისი ღვაწლის დასაფასებლად ჩვენს სკოლას ივანე ხრიკულის სახელი ეწოდა.

მან ცხოვრებაში ბევრი დიდი ტკივილი გადაიტანა, მაგრამ



ბოლომდე მხნე და გაუტყეავი დარჩა. ბედნიერებად მიაჩნდა მასწავლებლისთვის ისეთი სიკვდილი, როგორც დიდ ივანე ჯავახიშვილს ერგო – ლექციის კითხვისას. 2003 წლის 23 იანვარს ვანო მასწავლებელი მეცხრე კლასში გეომეტრიის გაკვეთილის ჩატარების დროს, გახდა ცუდად და გარდაიცვალა. მას შემდეგ 23 იანვარს სკოლა, ტრადიციულად, ვანო ხრიკულის ხსონის დღეს აღნიშნავს.

2009 წლის 23 იანვარს, ივანე ხრიკულის სახელობის ხცისის საჯარო სკოლის მათემატიკის კათედრის თაოსნობით, სკოლაში, ვანო მასწავლებლის ხსონის პატივსაცემად, გაიმართა მათემატიკური ჭიდილი VIII კლასში (მათემატიკის მასწავლებელი **თამარ ბუაჩიძე**). ხსონის საღამოს ესწრებოდნენ: პედაგოგები, მოსწავლეები, მშობლები, სამეურვეო საბჭო, სოფლის თემის წარმომადგენლები და ივანე ხრიკულის ოჯახის წევრი – ქალბატონი **მაია მუმლაძე**.

საღამოს პირველი ნაწილი ბატონი ვანოს გახსენებასა და დამსახურებაზე საუბარს დაეთმო. კოლეგებმა, ყოფილმა მოსწავლეებმა, მშობლებმა თბილად მოიგონეს ამგვარი ადამიანი.

ამ დღეს, სკოლაში, ერთი ფაქტიც გაცხადდა საჯაროდ: სკოლის დირექტორს, ქალბატონ **ციცინო ბურნაძეს**, რომელიც ვანო ხრიკულის შემდეგ 20 წელი ხელმძღვანელობდა სკოლას, ასაკის გამო (65 წელი შეუსრულდა), როგორც დირექტორს, რეგისტრაცია შეუწყდა. სკოლის დირექტორის მოვალეობის შესრულება, განათლების კანონის თანახმად, დი-

რექტორის მოადგილეს, ახალგაზრდა ქალბატონს, **ლელა ქერიციშვილს** დაევა. კოლეგებმა და მშობლებმა მადლობა გადაუხადეს ქალბატონ ციცილო ბურნაძეს იმ ამბავისთვის, რაც მან სოფელს, სკოლას და სოფლის ახალგაზრდობას დასცა და დაულოცეს დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს საპასუხისმგებლო საქმეში.

შემდეგ გაიმართა მათემატიკური ჭიდილი, რომელშიც მონაწილეობდნენ სამ ჯგუფად დაყოფილი მერვეკლასელები: **ხათუნა ბერიძე, რევაზ ჭავჭავაძე, გიორგი მაზიაშვილი, აჩიკო დაბრუნდაშვილი, ნანა მაზიაშვილი, თემურ ძამანაშვილი, ხვიჩა ჩადუნელი, ზურაბ ხაჩიძე, აჩიკო კობახიძე, ნიკა მაზიაშვილი, გოგა ჯიქურაშვილი, გიორგი ჭანგურაძე, თამაზ ბიჭიკაშვილი, მარიამ გაგნიძე, ჯუანა ჯიქურაშვილი, ზამირა ნეჭერაშვილი, ნათია ხაჩიძე, თამარ ძამანაშვილი**. მასწავლებელმა თამარ ბუაჩიძემ ჯგუფებს შესთავაზა ხუთი საინტერესო ამოცანა, რომელთა ამოხსნასაც ლოგიკური აზროვნება ესაჭიროებოდა. შედეგებს აჯამებდა ობიექტური ჟიური: **ლალი ელისაშვილი**, მათემატიკის კათედრის ხელმძღვანელი; **ნინო ჯიქურაშვილი**, მათემატიკის მასწავლებელი; **ნინო ლუღაძე**, დანერგვის ჯგუფის ხელმძღვანელი; **ლელა ქერიციშვილი**, დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი; **ლუარა თუმანიშვილი**, საბუნებისმეტყველო საგნების მასწავლებელი. მოსწავლეები კარგად იყვნენ მოტივირებული, აზროვნებდნენ სხარტად და ლოგიკურად. გამოვლინდა გამარჯვებული ჯგუფი, რომლის წევრებსაც ფასიანი საჩუქრები გადაეცათ. დირექციამ ყველა მონაწილე დააჯილდოვა სიგელებით **„ვანო ხრიკულის ხსონის დღისადმი მიძღვნილ მათემატიკურ ჭიდილში მონაწილეობისათვის“**.

დაბოლოს, მათემატიკის კათედრის თაოსნობით, სკოლის დირექციამ დაანწა ივანე ხრიკულის სახელობის დიდი და მცირე პრიზები, რომლებიც ყოველი წლის 23 იანვარს გადაეცემათ იმ მოსწავლეებს, რომლებსაც მათემატიკაში მაღალი შეფასება ექნებათ და წარმატებას მიაღწევნ სხვადასხვა მათემატიკურ კონკურსსა თუ ტურნირში. ყოველივე ეს მიმართულია მოსწავლეებში მათემატიკის შესწავლის მოტივაციის ამაღლებისკენ.

ნინო ლუღაძე
 ხაშურის მუნიციპალიტეტის ივანე ხრიკულის სახელობის ხცისის საჯარო სკოლის პედაგოგი, დანერგვის ჯგუფის ხელმძღვანელი

თვალსაზრისი

საბანანათლებლო სისტემა – ქალთა აზრო, სადაც მამაკაცები არ შედიან

XX საუკუნის პირველ ნახევარში, გერმანიაში, გეტინგენის უნივერსიტეტის სენატში ქალის წევრობა შეუძლებლად მიჩნდა, სწორედ ამას მოჰყვა XX საუკუნის უდიდესი მათემატიკოსის, დავით ჰილბერტის ცნობილი რელიკა „ბატონებო, სენატი მამაკაცთა აბანო ხომ არ არის, რატომ არ შეიძლება იქ ქალიც შევიდეს?“

საქართველოში თავად მამაკაცები არ შედიან სასკოლო საგანმანათლებლო სისტემაში, თითქოს იქ ქალთა აბანო იყოს.

ბერძნული სიტყვა „პადიოს-აგო“ ნარმოიშვა ჩვენს წელთაღრიცხვამდე და ნიშნავს — „მიუძღვი ბავშვს“ და ეს იყო მოვალეობა მხოლოდ მამაკაცისა. დროთა განმავლობაში ამ ტერმინის სახე და შინაარსი შეიცვალა.

XX საუკუნის 70-იან წლებამდე პედაგოგობა რჩებოდა მამაკაცის პროფესიად. ამის ნათელი მაგალითია ქართველი ჰუმანისტი მოაზროვნეები: პეტრინი, შავთელი, მთაწმინდელი, იყალთოელი და სხვ.; თანამედროვე პედაგოგიკის მამამთავრები: კომენსკი, რუსო, პესტალოცი, დისტერვეგი, უმინსკი, ჭავჭავაძე, გოგებაშვილი, მაკარენკო და სხვები. კლასიკოს პედა-

გოგთა რიგებში არ ფიგურირებენ ქალები. გასული საუკუნის 70-90-იან წლებამდე, უმეტეს შემთხვევაში, მამაკაცები გვევლინებიან ბავშვების, დაწყებითი კლასების და მით უფრო არასრული და საშუალო სკოლების პედაგოგებად.

დღეს რა შეიცვალა? შეიცვალა ყველაფერი, რასაც მამის ვერაინ ნარმოიდგენდა. მამაკაცმა, როგორც პედაგოგმა და როგორც მშობელმაც კი, აირიდა თავიდან აღმზრდელის მოვალეობა.

ბალის ასაკამდე ბავშვის დაფრთხილება, რატომღაც, მხოლოდ დედის მოვალეობაა; ასევე ბალსა და ბავშვს შორის დგას დედა; დაწყებით კლასებშიც დედა დაატარებს პატარას და ზრუნავს მის სწავლა-აღზრდაზე; ხოლო V-VI კლასიდან ბავშვები თავად ხდებიან დამოუკიდებელი. მამაკაცები კი საბავშვო ბაღებსა და დაწყებით კლასებში გამეფებულმა გარემომ (იქ მხოლოდ ქალი პედაგოგები არიან) გაარიდა ბავშვების სწავლა-აღზრდას. ასე მარტივად და უნებლიედ აღმოჩნდნენ მამები თვითიზოლაციაში.

უკანასკნელი 20-30 წლის განმავლობაში საქართველოში განათლების სისტემის არასწორმა პოლი-

ტიკამ, ასევე სოციალურმა ფონმა მამაკაცს წაართვა ბავშვის სწავლა-აღზრდის ისტორიული მისია. ქართული სკოლები ქალების ამარა დარჩა. იშვიათობა გახდა მამაკაცი პედაგოგი, მამაკაცი ბალის გამგე, მამაკაცი – სკოლის დირექტორი და ა.შ. არადა მამაკაცი პედაგოგს, სწავლა-აღზრდის გარდა, განსაკუთრებული უზუნაესი მისია ეკისრება; ის არის მოზარდისათვის მისაბაძი, იდეალი, ავტორიტეტი; იგი ხდება ჭეშმარიტების, ზნეობის და ცხოვრების წესის მასწავლებელი. პედაგოგი-მამაკაცი უარყოფითი თვისობრიობაა – უნესრიგობა, სწავლების დაბალი დონე, არასრულწლოვანთა დანაშაული და ა.შ.

უფროსი კლასების მოსწავლეები სკოლებში ანესებენ სრულიად მიუღებელ ქცევებს, „თამაშის“ ახალ წესებს, რომლის აღკვეთა ქალ-პედაგოგებს არ შეუძლიათ. ყოველივე ეს პატარებისათვის „საუკეთესო“ მაგალითი ხდება.

სკოლებში გამეფებული უდისციპლინო პირდაპირ კავშირშია სწავლისა და სწავლების დონესთან. შედეგი? საერთაშორისო კვლევის შედეგები სავალალოა, რაც იმაში მდგომარეობს, რომ „არნახული შე-

საძლებლობების საუკუნეში მაღალ მოთხოვნებს ქართველ მოსწავლეთა მხოლოდ 1% აკმაყოფილებს“; „საერთოდ მოსწავლეთა 18% სკოლის მიღმა აღმოჩნდა.“ საინტერესოა თვით რეფორმატორთა აზრი, რომელთათვისაც ასეთი შედეგები მოულოდნელი არ ყოფილა, თუმცა იმედოვნებენ, რომ 2011 წლისათვის კვლევას ღირსეულად შეხვდებიან. ამჟამად განათლების სისტემაში არსებული მდგომარეობიდან გამოსვლაზე რეფორმატორთა მსჯელობა იმდენად არადაამაჯერებელია, რომ იმედის იმედითა ვრჩებით. სწორედ ამაზეა ნათქვამი „წყალნაღებული ხავსს ეჭიდებოდაო“. განა ეს არის წარმატებული რეფორმა?

ნათქვამია, უდისციპლინო სკოლა უწყლო ნისქვილს ჰგავს. იქ სწავლის დონე ნულის ტოლია. ხშირად გაზრდებში ამოიკითხავთ პედაგოგიური საზოგადოების შეშფოთებას იმის გამო, რომ „არის შემთხვევები, როდესაც აბიტურიენტები სამნიშნაზე დიდ რიცხვებს ვერ კითხულობენ.“

სამწუხარო რეალობაა უდისციპლინო სკოლები, დანაშაული, მკვლევრობები, რომელიც ხდება არასრულწლოვანებში. დანაშაულის აღ-

მოსაფხვრელად იმართება დისკუსიები, ინერტა წერილები, ქვეყნდება უცხოელი ექსპერტების კვლევის შედეგები. სკოლებში, უმაღლეს სასწავლებლებში იგეგმება სამოქალაქო სამართლებრივი განათლების დანერგვა; სამართალდამცავი სამსახურების მიერ ლექცია-გაკვეთილების ჩატარება, დასჯადი საქმეების შესახებ სახელმძღვანელოების შემუშავება, სკოლაში ფსიქოლოგის ინსტიტუტის შემოღება, ვიდეოთვალის დამონტაჟება და ა.შ. ყველა ეს ღონისძიება იქნება ბრძოლა შედეგთან და არა მიზეზთან, ხოლო შედეგთან ბრძოლა ყოველთვის უშედეგოა. ასევე უშედეგო იქნება: სწავლების ამერიკული და ინგლისური მოდელი, ინტერაქტიური სწავლება, მასწავლებელთა მოზადება-გადამზადება, სერტიფიცირება, ხელფასების გაზრდა, სპეციალური აქტივობები; ვერანაირი რეფორმა ვერ იქნება წარმატებული მანამ, სანამ საგანმანათლებლო სისტემა ემსგავსება ქალთა აბანოს, სადაც მამაკაცები არ შედიან.

დემურ კუხალიაშვილი

ზუგდიდის რაიონის სოფელ ჩხორის საჯარო სკოლის ფიზიკა-მათემატიკის მასწავლებელი

ინფორმაცია

შეხვედრა მსოფლიო მოგზაურთან

გურამ დევდარიანის საავტორო ფიზიკა-მათემატიკური სკოლის და თბილისის მე-16 სკოლის მეცხრე კლასის მოსწავლეებმა, ისტორიის და გეოგრაფიის ინტეგრირებულ გაკვეთილზე, სტუმრად მოინივს მსოფლიო მოგზაური ჯუმბერ ლეჟავა. ეს მოგზაურთან მათი მეორე შეხვედრა იყო. 2008 წელს, პეკინის მსოფლიო ოლიმპიადაზე გამგზავრებამდე, შეხვედრაზე, ბატონმა ჯუმბერმა მათ მოგზაურობის პროგრამა გააცნო. მოსწავლეებმა კი გადაწყვიტეს, დაუსწრებლად ემოგზაურათ იმ ქვეყნებში, რომლებიც უნდა გაველო ქართველ მოგზაურს. ახლა კი, მოგზაურობის დასრულების შემდეგ, სტუმარმა და მასპინძლებმა ერთმანეთს შთაბეჭდილებები გაუზიარეს.

აქტივობის მიზნები და მისაღწევი შედეგები:

- მოგზაურის მიერ განვლილი ქვეყნების ადგილმდებარეობის განსაზღვრა რუკაზე;
- ინტერესების მიხედვით ინფორმაციის შეგროვება იმ ქვეყნებზე, რომლებიც ქართველმა მოგზაურმა გაიარა;
- სტატისტიკური ცხრილის შედგენა;

- სასაათო ზოლის განსაზღვრა თბილისი-ტაშკენტი-პეკინი;
- მსოფლიო ოლიმპიადები – ჯანსაღი ცხოვრების წესი;
- ლიდერობის, ორატორობის, ჯგუფური მუშაობის ჩვევების ჩამოყალიბება-განვითარება;
- მოძიებული მასალის ანალიზი.

საინტერესო იყო ბატონ ჯუმბერ ლეჟავას მონათხრობი პეკინის მსოფლიო ოლიმპიადის შესახებ. რომ არა კარგ სპორტულ ფორმაში ყოფნა, რაც ასე აუცილებელია ველო-მოგზაურისთვის, უდაბნოების, უღელტეხილების გადალახვა შეუძლებელი იქნებოდა. მან გაიხსენა კურიოზები და გაუთვალისწინებელი შემთხვევები, რასაც ადგილი ჰქონდა მოგზაურობის დროს. მაგალითად, თეირანში საქართველოს საელჩოში შესანიშნავი შეხვედრის შემდეგ, გეზი ავღანეთისაკენ ჰქონდა აღებული, მაგრამ ავღანეთის საელჩომ ვიზა არ მისცა. იძულებული გახდა, შეეცვალა მარშრუტი და შემოვლითი გზით, 3200 მეტრი სიმაღლის უღელტეხილით გადასულიყო თურქმენეთის დედაქალაქ აშხაბადში. ამის შემდეგ უზბეკ-

თის, ყაზახეთის და ყირგიზეთის გავლით, 26 მაისს, შევიდა ჩინეთის ტერიტორიაზე. ჩინეთის მონაკვეთს ყველაზე რთულად დასაძლევად მიიჩნევს მოგზაური. მაგრამ პეკინმა, რომელიც შესანიშნავად იყო მომზადებული ოლიმპიადისთვის, ყველა განვლილი სიძნელე დააგინა. ოლიმპიადის მასშტაბურობამ, ქართველი სპორტსმენების წარმატებებმა და მოგზაურისთვის ქართული სახლის მიერ გადაცემულმა სამახსოვრო ოლიმპიურმა ოქროს მონეტამ, უდიდესი სასიხარულო განწყობა შეუქმნა მოგზაურს, რასაც სამწუხარო დაღი დაასვა აგვისტოში რუსეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებულმა სამხედრო აგრესიამ – მოგზაურმა მონაწილეობა მიიღო პეკინში რუსეთის საელჩოსთან გამართულ საპროტესტო აქციაში.

ბატონ ჯუმბერ ლეჟავასთან შეხვედრამ დიდი სიხარული მოჰგვარა მოსწავლეებს და კიდევ ერთხელ დაანახა მათ, როგორ შეუძლია უდიდესი სიძნელეების გადალახვა მიზანდასახულობასა და ჯანსაღი ცხოვრების წესს.

ფლორა მილორაძე



ქართულ მხატვართა ნამუშევრების გამოფენა ამსტერდამში

კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს ორგანიზებით, პროექტ „ქართული სეზონის“ ფარგლებში, ამსტერდამის მუზეუმ „კობრაში“ თანამედროვე ქართველ მხატვართა ნამუშევრების გამოფენა გაიხსნა. ექსპოზიციის თემა – „დაბადებული საქართველოში“, 100-ზე მეტი ნამუშევარია წარმოდგენილი.

გამოფენაში მონაწილეობს საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ მცხოვრები სხვადასხვა თაობის ოცზე მეტი მხატვარი: გურამ ნიბახაშვილი, ილიკო ზაუტაშვილი, კოკა რამიშვილი, გიო სუმბაძე, მია სუმბაძე, ნინო ჩუბინიშვილი, ვატო წერეთელი, ნინო სეხნი-აშვილი, თეა თელია, თამუნა ქარუმიძე, ნიკო ცეცხლაძე, ანდრო ვეკუა, ირა კურმაგაძე, მია ნავერიანი, ლუკა ლასარეიშვილი, გია ეგვერადე და მისი ჯგუფი.

სამინისტროს დაფინანსებით, ამსტერდამში უკვე გამოიკა ქართული თანამედროვე ვიზუალური ხელოვნების ამსახველი კატალოგი, რომლის პრეზენტაცია გამოფენის გახსნაზე მოეწყობა.

გამოფენა საქართველოს პირველმა ლედომ, **სანდრა რულოვსმა** გახსნა.

50-60-იან წლებში, ჯგუფი „Cobra“ კოპენ-

ჰაგენის, ამსტერდამის და ბრიუსელის აბსტრაქციული ექსპრესიონიზმის მიმდევარ მხატვრებს აერთიანებდა.

დღესდღეობით ამავე ჯგუფის სახელწოდებით დაარსებული მუზეუმში „კობრა“ ევროპაში ერთ-ერთი ცნობილი და პრესტიჟული საგამოფენო სივრცეა, რომელიც წლიდან წლამდე მსოფლიოს გამოჩენილი ხელოვნების ექსპოზიციებს აწყობს. 2008 წელს „კობრა“ ჰოლანდიის საუკეთესო მუზეუმად დასახელდა.

ამსტერდამში ქართული გამოფენის გენერალური სპონსორები „თი ბი სი ბანკი“ და კომპანია „ბორჯომი“ არიან. მონაწილე მხატვრების თქმით, ამ გამოფენაში მონაწილეობა, დღევანდელი მდგომარეობიდან გამომდინარე, იმ თვალსაზრისითაც მნიშვნელოვანია, რომ ქართველი მხატვრების ექსპოზიციის „კობრას“ მუზეუმში პირველად გამოიფინა.

2009 წელს, მუზეუმში დაგეგმილ გამოფენათა შორის, ქართული ექსპოზიცია ერთ-ერთ მასშტაბურ და გრძელვადიანია. ყველაზე სასიხარულო კი ის არის, რომ ქართველი მხატვრების გამოფენა წარმატებულად მიმდინარეობს – ევროპისათვის საკუთარი ნა-



მუშევრების საჩვენებლად 27 თანამედროვე ქართველი ხელოვანი ერთ სივრცეში გაერთიანდა. ექსპოზიციას რამდენიმე დღეში, მუზეუმის ჰოლანდიელი კურატორის სურვილით, შეემატება ფიროსმანის ტილო „თეთრი ღორი გოჭებით“.

გამოფენის გახსნაზე ჰოლანდიელმა მუსი-

კოსებმა **გია ყანჭელის** მუსიკა შესრულეს. გახსნას თავად კომპოზიტორიც დაესწრო.

„ქართული სეზონის“ ფარგლებში, გამოფენა ექვს თვეს გასტანს. წლის ბოლომდე ქართველ მხატვართა ნამუშევრებს ევროპის კიდევ რვა ქალაქი უმასპინძლებს.

მომზადდა **ლალი ჯელაქიძე**

სპორტი

მოზარდთა ევროპული ფესტივალი

14-21 თებერვალს პოლონეთის ქალაქი სლასკ-ბლესკიში ევროპის ახალგაზრდობის ზამთრის ოლიმპიურ ფესტივალს უმასპინძლებს, რომელშიც საქართველო მოკრძალებული, 8-კაციანი გუნდით წარადგება. ქართველი სპორტსმენები მხოლოდ ორ სახეობაში – ბიათლონსა და სამთო-სათხილამურო სპორტში იასპარეზებენ. ბიათლონში საქართველოს ღირსებას ბაკურიანელი – **ანჟელა ბანდური** და **მიხეილ ავაკიანი** დაიცავენ; სათხილამურო სპორტში მათივე თა-

ნაქალაქელი **ნატაშა გავა** და თბილისელები – **ირაკლი კიკნაძე**, **ნინო ნიკლაური**, **დიმიტრი გედევანიშვილი**, **ჯაბა** და **გიორგი გელაშვილები** გამოვლენ.

ორშაბათს ჭაბუკი სპორტსმენები მწვრთნელებთან ერთად საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტში მიიწვიეს, სადაც მომავალ ფესტივალში გზა დაულოცეს და სპორტული ეკიპირება გადასცეს.

სლასკ-ბლესკიში ევროპის 49 ქვეყნის

1300-მდე სპორტსმენი გამოვა. ამ ეტაპზე ჩვენი მოზარდებისგან მედლებს ნაკლებად ელიან – უფრო გამოსაცდელად მიჰყავთ, რადგან ეს ის თაობაა, რომელიც 2014 წლის ზამთრის ოლიმპიადაზე უნდა გაემგზავროს. შეგახსენებთ, რომ თამაშები სოჭში გაიმართება, თუმცა საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი ოლიმპიადის სხვა ქვეყანაში გადატანას ითხოვს, მიზეზად კი პოლიტიკურ არასტაბილურობას ასახელებს.

ევროპის ჩემპიონატისთვის მზადება

ქართველი ჭაბუკი წყალში მტომელები, 1-5 ივლისს, უნგრეთის დედაქალაქ ბუდაპეშტში გასამართი ევროპის ჩემპიონატისთვის ემზადებიან. ამ მზადების ფარგლებში, ისინი, უახლოეს დღეებში, ჰოლანდიურ გრონინგენში, საერთაშორისო ტურნირში, სამ ასაკობრივ ჯგუფში იასპარეზებენ. 12-13-წლიანებში – **თამარ სიჭინავა** (3-მეტრიანი ტრამპლინიდან და 5-იანი კომპურინიდან); 14-15-წლიანებში – **თეონა ყაჭიშვილი** (18 და 3 მ. ტრამპლინი), **აკაკი ივანიშვილი** (18 და 3 მ. ტრამპლინი) და **ალექსანდრე გუჯაბიძე** (3 მ. ტრამპლინი და 10 მ. კომპურა); 18-წლიანებში კი **სალომე ჯუღელი** 1-მეტრიანი ტრამპლინიდან გადამოხტება.

ჩოგბურთელს ეკიპირება გადასცეს

14 და 16 წლამდე ჩოგბურთელ გოგონათა და ვაჟთა გუნდები, ამ კვირაში, ევროპის ზამთრის თასის გათამაშების საკვალიფიკაციო ტურნირში ჩაებმებიან. 16 წლამდე გოგონათა ნაკრები – **სალომე კვიციანიშვილი**, **ნინო სუჯაშვილი** და **თაქო კომახიძე**, **ირმა მალაქიძის** ხელმძღვანელობით, 6-8 თებერვალს, იტალიის ქალაქ მანიანოში ითამაშებს; ამავე ასაკის ვაჟთა გუნდი კი ფრანგულ შოლემში გამოვა. მთავარმა მწვრთნელმა, **ალექსანდრე ყარანგოზიშვილმა** ნაკრებში **ალექსანდრე მეტრეველი**, **დავით ხუციშვილი** და **გიორგი ცივაძე** მიიწვია.

რაც შეეხებათ 14 წლამდე გოგონებს, ისინი, 13-15 თებერვალს, ბელარუსის დედაქალაქ მინსკში ითამაშებენ, ნაკრებში **თამარ ჭალაგანიძე**, **ბარბარე ერისთავი** და **ანი გოგვაძე** გამოვლენ. ამათგან 16-წლამდელები 4 თებერვალს უკვე გაფრინდნენ იტალიასა და საფრანგეთში, 14-წლიანები კი მინსკს 12 თებერვალს მიასურებენ. ორშაბათს გუნდები საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციაში მიიღეს, ეკიპირება გადასცეს და ევროპაში გზა დაულოცეს.

ირაკლი თავაძე



<p>მთავარი რედაქტორი: მარიკა ჩიქოვანი</p>	<p>მისამართი: ტატილაშვილის №3 ტელ.: 95-80-23, 890 958023, 855 411668, 855 178027.</p> <p>E-mail: axaliganatleba@gmail.com, ganatleba@mail.ru</p>	<p>რედაქციის რეკონსტრუქცია: საპარტოპოლოს ბანკი</p> <p>ზ/კ 220101502, ს/კ 202058735, ა/ა 123631000</p>
	<p>რეგისტრაციის № 2/4-1609, ინფორმაციის ხელმოწერისთვის: 76096</p> <p>გაზეთი რეგისტრირებულია დიდუბის რაიონის სასამართლოს მიერ.</p> <p>რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.</p>	